

ლიცენზირებული საშუალო



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშურის მოამბის“ დამატება
№2, 27 თებერვალი, ორშაბათი, 2023 წელი

დამშვიდდი, დედამინავ!

სამძიმარი თურქ და სირიელ ხალხს

დამშვიდდი, დედამინავ!.. დამშვიდდი, შენი ჭირიმე!..

ნუ აატირებ ისედაც მტირალ და შენს იმედზე მყოფ დედამინელებს...

ნუ აატირებ და ნუ აფიქრებიან მარსზე და სხვა, უფრო შორელ პლანეტებზე...

რამდენიმე დამთხვეულს უკვე მოლობილი აქვს მარსზე საბოსტნე ალაგი...

დამშვიდდი, შენი კვნესამე!..

ნუ გაუთენებ მოქალაქეებს პომპეის დილას!..

ნუ გაუთენებ: პეკინის, სან-ფრანცისკოს, მეხიკოს, სპიტაკის, გორის, ტოკიოს, რაჭის დილას...

დამშვიდდი, შენი მუხლების ჭირიმე!..

რა გიმღვრევს ასე გულ-ღვიძლს, რა გაბორგებს, რა არ გასვენებს?!

ვიცი, სუნთქვა რომ გიჭირს, რა დოზანაა ამდენი ჭაბურღილი, ამდენი გაზის და ნავთობის საბადო, ამდენი ქვანახშირი და მარგანეცი, ამდენი ოქრო-ვერცხლი...

ჩვენი ბრალიც რომ არის, ისიც ვიცი...

...ეძინათ მშვიდად და დანდობილად თურქ და სირიელ დედამინელებს, შენს შვილებს, შენს მოქალაქეებს, როცა შუალამისას სატანა შემოგისახლდა გვამში და საბედისწეროდ შეგანჯღრია, შეგატორტმანა...

დაიძინეს და ველარ გაიღვიძეს...

ევახ, პატარებმაც, უცოდველმა ბავშვებმაც!..

დამშვიდდი, ულამაზესო პლანეტავ, რად გინდა ამდენი ურვა და ცრემლი, ძაღლის ყმუილი...

1920 წელს გორშიც ასე მოხდა, სურნყუნისის თვესა, შუალამისას...

დამშვიდდი, დედამინავ!

არსად წასვლას არ ვაპირებ! რა მემარსება, ხომ გახსოვს, რომ შეგპირდი, ბოლომდე შენი ჭირისუფალი ვიქნები-მეთქი...

დამშვიდდი, დედამინავ!..

გიზო თავაძე

პიეზიკა დებიუტი



ნათია ტატიაშვილი გორის მუნიციპალიტეტის ისტორიულ სოფელ მეჯვრისხევში დაიბადა. წარჩინებით დაამთავრა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მისი პირველი ლექსები გორში გამოქვეყნდა საყვანვილო გაზეთ „ყაყაჩოს“ ფურცლებზე და ჟურნალ „ოცდამეერთე საუკუნეში“ გამოქვეყნდა.

ჩემს სტუდენტებს შორის, ნათია ნიჭიერებითა და აზროვნებით გამორჩეულია.

„ლიტერატურული ხაშურის“ ფურცლებიდან გზას ვულოცავ პოეტური სულის ახალგაზრდა ქალბატონს.

ხაშურში დამკვიდრებასთან ერთად, ფეხბედნიერი ყოფილიყოს ნათიას შემოსვლა ჩვენი ქალაქის ლიტერატურულ სამყაროში.

მურად მთვარელიძე

ისე უცნაურად შემეყვარდი,
ლამის ლექსებს თავი დავანებე,
ჩემი ოცნებების ფერი გახდი,
ისე მიმაცილე სავარდემდე.
ფერი დავესესხე იასამნებს,
შენთვის საჩუქრად რომ დამეტოვა,
შეხე, გვირილების ფიანდაზებს
ატმის ყვავილებმა ჩამოთოვა.
სადღაც სიტყვა იწვის არსათქმელი,
წლებმა სიახლოვე დამიშორეს,
ლექსად შეგროვილი კამათებიც
ხსოვნის ზარდახშაში ჩაგიქსოვე...
ისე უცაბედად შემეყვარდი,
სევდის ბილიკები დამრჩა ობლად,
შენთვის გაყოფილი ჩემი დარდი
ატმის ყვავილებად ჩამოთოვა.

აფხაზეთში

აფხაზეთში ცხელი კერის ფერფლი დამრჩა,
კაცს თვალბეზვებზე ცრემლი ჰქონდა მორეული,
აფხაზეთი, მარადიულ ფიქრად დარჩა,
აფხაზეთი – ახლობელი, შორეული.
აფხაზეთში წინაპართა ძვლები დამრჩა,
მამის საფლავს ღობე რომ აქვს მორღვეული,
აფხაზეთში საკუთარი ძმები დამრჩა,
კრიალა ცა, ედემისფრად მომზეური.
აფხაზეთში ერთადერთი შვილი დამრჩა,
არ მაცალეს, ჩავიკრავდი ვიდრე მკერდში,
ველოდები, ველოდები, მაგრამ არ ჩანს,
დედისერთა ბიჭი დამრჩა აფხაზეთში.
აფხაზეთში ცხელი კერის ფერფლი დამრჩა,
კაცს თვალბეზვებზე ცრემლი ჰქონდა მორეული,
აფხაზეთი მარადიულ ფიქრად დარჩა,
აფხაზეთი – ახლობელი... შორეული...

ვერ ამოვისო ქვევრი უძირო,
უსაზღვრო წადილს ველარ ველევით,
ვერცხლისმოყვარე კვლავაც უტიფრობს
მზეს ეფერება ბინძურ ხელებით!..
და ამ სურვილთა ორომტრიალში
ველარ ვიბრუნებთ წუთებს გაფრენილს,
დაპატარავდა სული სიხარბით,
ისევე, როგორც ტყავი შაგრენის.

ქვეყნად მხარე ვერსად ვნახე,
იმისთანა, შენ რომ ხარ,
მტრის მორჩილი თუკი გნახეს,
რალა საქართველო ხარ?!
ნუთუ ბრძოლით მოიღალე,
ჩაუქრობი მზე რომ ხარ,
თუკი მუხლი მოიყარე, –
რალა საქართველო ხარ?
სამოთხეზეც ვერ გადაგცვლი,
თავად საედემო ხარ,
უქართველოდ თუკი დარჩი, –
რალა საქართველო ხარ?!

თითქოს იმედებმა ველარ გინახულეს,
ისიც აღარ გვახსოვს, როგორ გაგამრთელოთ,
დედა ღვთისმშობელი წილად გინარჩუნებს,
გამოიზაფხულე, ჩემო საქართველო!
ეკლად ამოგვლია მტერი შინაური,
აღარ ედარდები შვილებს გარეულებს...
ისევე შეკაზმულა თეთრი ბედაური,
ჩემო საქართველო, გამოიზაფხულე!

არ დადუმდეს ქართლის ჩანგი,
ღმერთმა ტკბილად აამღეროს,
ბებერ ვაზის სავსე ძარღვით
გაუმარჯოს საქართველოს!
დღეს დაკუნულ-დაბზარული
ბედნიერად გაამთელოს,
ჭრილობიდან ნაჟურ სისხლით
გაუმარჯოს საქართველოს!
კმარა ბრძოლა! ზეციერმა
მშვიდობის დღე დაგვათენოს,
გაუმარჯოს, გაუმარჯოს,
გაუმარჯოს საქართველოს!

ფრთადაჭრილ მტრედებს
არ მიკვირს, რომ აგვიანდებათ,
ფუჭი იმედის მოლოდინი
მტრობას ასხამს ფრთებს,
არ მინდა, ცოდვად
შემერაცხოს დაგვიანება,
თავად მასპინძელს
მიკეტავენ სახლის დარაბებს!
მავთულხლართებში
გაპარულან ყოჩივარდები,
ტაძრის კარამდე
უნდა მეყოს სულის საგზალი,
დედაბუნებამ გაამჟღავნა
გულის ნადები,
სამშობლოს მინას ენძელების
იცავს ლაშქარი.
მერე რა, თუკი ჩავიმუხლე
გზაზე ცხოვრების,
უიმედობა უგუნურებს
იპყრობს მეტადრე,
რა გაგიკვირდათ?! მაშინ, როცა
თითქმის ყოველთვის,
კაცი, მუხლებზე დაჩოქილი,
მიდის ღმერთამდე!..

მიყვარხარ

მიყვარხარ ისე, რომ
დავლიე სათქმელი,
მიყვარხარ, ზეციდან
დაცემულს მინამდე!
ევა ვარ, ყელში მაქვს
იმ ვაშლის ნაფცქვენი,
მზეებად მელვრები
ამ გულის ფიცარზე.
უთქმელად, დუმილით
ნეკნსაც კი მაყვედრებ,
შევცოდეთ, დავკარგეთ
ჩემს გამო ედემი,
ლოცვით და ვედრებით
იმ დღიდან დამეძებ,
მადლობა უფალს, რომ
მზეებად მელვრები...
ევა ვარ, ცოდვილმა
უფალი ვინამე,
მიყვარხარ, გავედრებ
ჯვარცმულს და გაცემულს,
მზეებად მელვრები
ამ გულის ფიცარზე,
მიყვარხარ, ზეციდან
მინამდე დაცემულს.

სულ გადაგვაგინყდა,
იესოს რაც უთქვამს,
არავის არ უნდა
სუსტი და მშიერი,
ვერ გაგვიჩვეია
დრო, ისე გაცუდა,
ლაჩრებსაც დაედოთ
გმირული იერი.

დ ე ბ ი უ ც ი



სამყაროსა და ადამიანის არსზე ჩაფიქრებული, თუ „თინეიჯერული“, იგივე მოზარდებისთვის თანმხლები, სიტყვაში გაჟღერებული გაუცნობიერებელი მელანქოლია? – ალბათ, ერთი და მეორეც...

იცნობდეთ – ხაშურის მე-6 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის დიანა საყვეარიშვილის შემოქმედებას.

უმაღურობიდან მადლიერებისაკენ

რომ იცოდეთ, ეს წუთისოფელი რა მოკლეა და, რომ იცოდეთ, დღეს-ხვალ მოკვდებით, ყველაფერი უბრალო ისეთივე ბრალიანი გახდება, როგორც დღემდე – არც არაფერი...

შენ ხარ ადამიანი – ღვთისაგან შობილი დედამიწაზე...
 ადამიანებო, რატომ შესჩვილებთ ღმერთს უბრალო უამინდობის გამო?
 ვიღაცას შია, ვიღაცას წყურია, ვიღაცას ტკივა, ვიღაცა იბრძვის...
 ... და შენც ადექი დილით ალიონზე, მადლობა შესწირე უფალს, რომ მზე ამოვიდა ისევ ცის კამარაზე ...
 და, რომ დანაყრდი ...
 და, რომ არ გტკივა...
 და, რომ არ იბრძვი...
 ვიდრე უკმაყოფილებას გამოთქვამ, სანთელი დაანთე, ფანჯარა გააღე, მადლობა შესწირე უფალს იმაზე, რომ ცის კამარაზე მზე ისევ ამოდის...

იქ ბევრად უკეთესია

გავითიშე და სინათლის ბოლოს ხმა გაისმა:
 – მოდი ჩემამდე, ხმას გამოყევი, აქ არის ის, ყველაფერი, რაზეც ხშირად გიოცნებია.
 ვიგრძენი, ჩემი სული როგორ შორდებოდა სხეულს... ისევ ხმა გავიგონე:
 „კიდევ ერთი მოზარდის სიკვდილს ბევრი ვერ გადაიტანს...“
 ... და, როცა მოკვდები, ნუ მიტირებთ!
 თქვენ რა იცით და... იქნებ იქ ბევრად უკეთესია...

შენი სიყვარული დარჩება ფერად ლაქად

ზღვა ემოცია უნდა გადმოსცე, თუ სიყვარული და მწუხარება გულში ჩაიკლა?...
 იცით, სამყარო როგორი ადგილია? – სიყვარულს არ გასცემ და სწყინთ, გასცემ და მაინც დაგემდურებიან.
 და რა სჯობს – ეს სიყვარული გასცე თუ არ გასცე? და თუ სიყვარული აღარ გექნება, რა მოხდება, თუ ყველა ლამაზი ფერი შენში დარჩება ფერად ლაქებად?

მისი თვალების მელოდია

მისი თვალები, თბილი გამოხედვა...
 თვალები, რომელიც ზღვის სიმშვიდეს და ტალღის მელოდიას მასმენინებს...
 მელოდია, რომელიც გულის სიღრმეში აღწევს და ჩემი და მისი ცისფერი თვალები ერთმანეთს ერწყმის.
 თვალები, რომელიც ყვება, მე და ის ტალღების მელოდიას როგორი სიამოვნებით ვუსმენდით.

დღის ბოლოს

გადამწვარი, გადაღლილი, ემოციურად გადატვირთული დღის შემდეგ, ჩემი ოთახის ფანჯრიდან დანახული სევდიანი ღრუბლები, ერთი უბრალო კალამი და ფურცელი ჩემი ლამის ყველაზე დიდი შვება და ალერსი იყო ჩემთვის.
 თითქოსდა, ჩემი სტრიქონები დადარდიანებულ გულს ცრემლებს წმენდნენ.

ჩემი ფიქრები უსწორდება დედამიწის ხასიათს

მზე უსამართლო სამყაროს მაინც ღიმილით და სიკაშკაშით ეგებება...
 თავზე დამთენებია... რა ხანია, მზეს სამართლიანი და მტკიცე მთვარე მინაცვლებს.
 ყველაფრის მიუხედავად, მოკაშკაშე მზე დედამიწის თავზე ანათებს, რათა ადამიანებს, რომლებსაც თავიანთი ცოდვები ეამაყებათ, დღე გაუნათოს, დღე, რომლის კვალობაზეც ისინი კვლავ იარსებებენ და დაამძიმებენ ისედაც ცოდვებით დამძიმებულ დედამიწას.
 მზე თავისი ღიმილით მხრებს მიწვავს, მაგრამ ჩემს გულში ისევ ქარიანი,

წვიმიანი, ჭუჭყიანი ამინდია. ამინდი, რომელიც მაშინ ჯეჯილობს ჩემს გულში, როდესაც ამდენ ყალბ სახეს შეჰყურებს.

მოსანანიებელი

ვის არ მოუნანიებია სიტყვა თქმული და, თან, უთქმელი...
 იტყვის, გაგაგონებს, სადღაც, გულის ბოლოს გაგკრავს შავი შუქი და გაგიცოცხლებს სევდას აოხრებულს...
 და მაინც, უთქმელი სჯობს თუ თქმული მოსანანიებელი, როცა იცი, აგიტკივებს ტკივილს დასამარებულს, დამარხულს, სადღაც, მუქი შუქის ბოლოში გადაკარგულს, ამოუცნობს, გაუგონარს...

მარადიული ნაიარევი

პოზიტიური დღეები, თვეები, საათები, წამები, წუთები მუდამ სწრაფად გადიოდა ჩემთვის.
 ნეგატიური კი, წამიც წლებად მეჩვენებოდა. თითქოს ვიღაცა იდგა და სულს მიგლეჯდა, მინაკუნებდა, იარას მიტოვებდა ცუდ მოგონებებად...
 ყველაზე მუქ, დიდ, ღრმა, მარადიულ ნაიარევად ჩაისახე ჩემს ცხოვრებაში, საკუთარ თავი შემაზიზღე, როცა ბოლო ამოსუნთქვის დროსაც შენი შეხება ვინატრე...

ნ ი ე ლ ი

Dream



ალექსანდრე ყაიშიაშვილი

– გამარჯობა. მე აბიგაილი ვარ, აბიგაილ მიჩჩელი...
 პატარა გოგონა, რომელიც ძალიან ბევრი წელი, – აი, ამდენი, – ნახეთ, ერთი თითი, ორი თითი, სამი თითი, ოთხი თითი და ხუთი, ჰო, ხუთი თითი... ბავშვთა სახლში ცხოვრობს.
 რა? პატარა ვარ? – რას ამბობთ?! მე უკვე დიდი ვარ, ძალიან დიდი. საკუთარ თავზე და ჩემი ოთახის მეგობარ ივეტზეც ვზრუნავ. იცით, რამდენი რამ ვიცი? თქვენ კი პატარა გოგონას მიწოდებთ. გინდათ, მანყენინოთ ხომ? თუმცა, არაუშავს, არ მენყინება, დღეს საუკეთესო განწყობაზე უნდა ვიყო! ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო ბავშვთა სახლის მკვიდრნო, თქვენი მონა-მორჩილი აბიგაილ მიჩჩელი დღეს ხუთი წლის გახდა!
 კარგი, კარგი, გმადლობთ... ნუ წუხდებით, რა ლამაზი თოჯინაა! ეს, ეს ტორტი?! ჩემი დაბადების დღის ტორტი?! ღმერთო ჩემო! იცით, არასოდეს მქონია ტორტი დაბადების დღეზე. რა მითხარით? მართლა? – სული შევუბერო სანთლებს და სურვილი ამისრულდება? ისევ პატარა გოგონა გგონივართ ხომ! არ მატყუებთ? კარგი, ჩავაქრობ, ოღონდ, ერთი წუთით, სურვილს ჩავუთქვამ. ერთი, ორი, სამი! ფუუუუუუუუუუუუ... ყველა ჩავაქრეეეე!!! ნამდვილად ამისრულდება?! ძალიან კარგი! და როდის? მალე? მალე რამდენი დღეა? ხომ ნამდვილად ამისრულდება?! ღმერთო, როგორ მიხარია! მე უკვე დიდი გოგო ვარ, დიდიიი, რომელსაც დაბადების დღეზე ტორტიც კი ჰქონდა!
 – გილოცავ, აბიგაილ მიჩჩელ.
 – გმადლობ. ვინ ხარ?
 – მე ის ვარ, ვინც შენზე წერს, ვინც შეგქმნა და შეძლო ილუზიური სამყაროდან შენი ამქვეყნიური რეინკარნაცია...
 – მაპატიეთ, ბატონო, თქვენ დიდივით საუბრობთ, მე კი, ვერა გავიგე რა. არა, დიდი კი ვარ, მაგრამ არც ისეთი, რომ თქვენსავით შემძლოს საუბარი. ალბათ, თქვენც ისე ძალიან გაიზარდეთ, რომ ჩემსავით „დიდ“ გოგონასთან საუბარს ვეღარ ახერხებთ... მე მესმის თქვენი. როდესაც ადამიანები იზრდებიან და ბავშვობას ჰკარგავენ, სულ სხვაფერდებიან, მათ ხმას და სიტყვას რატომღაც სიმკაცრე ემატება. არადა, როგორ შევნოდათ ბავშვობა, სიხალისე, დაუსრულებელი ოცნება და ლამის წყვდიადში თავზე საბანძოხვეული მოგზაურობა ზღაპრადქცეულ სამყაროში...
 იცით, მე არ მინდა, თქვენსავით დიდი გავიზარდო, ჩემი სიდიდეც მეყოფა... აი, სულ ხუთის ვარ, არ მინდა, მეც თქვენსავით დაგვარგო ჩემი ბავშვური სიხალისე, არ მსურს გადავსხვაფერდე, ან სულაც ჩემს პატარა სანოლში მხოლოდ დასაძინებლად დავწვე. მე ვიოცნებე. აი, დღესაც, სანთლების ჩაქრობამდე, სურვილიც კი ჩავუთქვი და ზღაპრულ სამყაროდ ვაქციე დროში შეჩერებული სულ ორი წამი. თქვენ კი... ბოდიში, ბატონო, მაგრამ უღმერთოდ დარჩენილი ადამიანი მგონიხართ.
 – რატომ, აბიგაილ?
 – აღმზრდელი ანა ამბობს, რომ თუკი ადამიანს სიყვარული არ შეუძლია,

ვერც კეთილ საქმეს ვერ ჩაიდენს და ღმერთიც სამუდამოდ მიატოვებსო. აი, თქვენ კი... ეჰ, თქვენ რომ გყვარებოდით, თქვენ, რომ უღმერთო არ ბრძანდებოდეთ, განა ასე, უდემამოდ გამიმეტებდით ამ განუკითხავ სამყაროში? მოდი, ვიოცნებოთ! არა, ჯერ სახელი გჭირდება. მოიცა, მოვიფიქრო, – მაიკლი? არა, არაა... მამ... ბილი? არა, არც ეს. აი, მოვიფიქრე – **Godless!**

– მაშ ასე, ბატონო **Godless**, მზად ხართ საოცნებოდ?
– ვცადოთ, აბიგაილ...
– მაშინ მითხარი, რაზე ოცნებობ?
– რთული სათქმელია, უფრო ყოფითია, რასაც ოცნებასაც ვერ დავარქმევთ. შენ, აბიგაილ მიჩჩელ, შენ რაზე ოცნებობ?

– მინდა, როცა, ბევრად დიდი გოგო გავიზრდები, კენსიგტონის ქუჩის ყველა სახლი ვიყიდო, მთელ ქუჩას ერთი ვეებერთელა ღობე შემოვარტყა, მთელი მსოფლიოს კუთხიდან ჩამოვიყვანო უდემამო ბავშვები და ჩემთან ვაცხოვრო, მივცე სწავლა-განათლება და ვიზრუნო მათზე. მინდა, რომ ყველას სათითაოდ ვუყიდო დედიკო და მამიკო. მერე არც ერთი ბავშვი არ მოინყენს, ყველას ექნება დაბადების დღის ტორტი და სურვილი საოცნებოდ... ყველა სიხარულით და გულისფანცქალით ჩააქრობს ტორტში ჩარჭობილ სანთლებს დააა... აუცილებლად ამიხდება! მჯერა, კი, კი, ნამდვილად ასე იქნება. მეც, თქვენსავით უღმერთოდ არ გავიზრდები და შევძლებ, დიახ, შევძლებ ჩემი ოცნების ასრულებას, კენსიგტონს შემოვარტყავ უშველებელ ღობეს და ჭიშკრის შესასვლელში დიდი ასოებით დავანერ: „Heaven in the heart of hell“...

– კიდევ რაზე ოცნებობ, აბიგაილ მიჩჩელ?
– პარასკევ დღეზე...
– ვერ მივხვდი, აბიგაილ.
– არც მიკვირს, ბატონო **Godless**, თქვენ ხომ უღმერთოდ ხართ გაზრდილი...

– მომიყევი პარასკევ დღეზე, რა არის ისეთი, რომ საოცნებოდ ღირდეს?
– პარასკევ დღეს, საღამოს 7-ზე ჩვენს თავშესაფარს სტუმრობენ წყვილები, რათა შეარჩიონ თავშესაფარში მაცხოვრებელი ბავშვებიდან ერთ-ერთი და თავიან სახლში წაიყვანონ. ამას ჩვენ „გაცნობის დღეს“ ვარქმევთ. ჰოდა, სად გავჩერდი? აა, ჰო... სურვილი... მინდა, რომ ამ დღეს არც ერთ ბავშვს არ დასწყვიტონ გული, არ აატირონ განბილებული ივეტივით და მთელი ღამე ცრემლსა და გოდებაში არ გაატარებინონ... ჩასჭიდონ ხელი, გულში ჩაიკრან, მიუალერსონ და თავიანთ შვილად მიიღონ.

– ამ ხნის მანძილზე ნუთუ არავინ გამოჩნდა ისეთი, რომ შენით დაინტერესებულყო?

– როგორ არა. აი, გასულ პარასკევსაც იყვნენ ნიუკასლიდან, მაგრამ...
– რა მაგრამ?
– მე არ მინდოდა წაყოლა! და არც არასოდეს არავის წავეყვები, ბატონო **Godless!**

– რატომ, აბიგაილ?
– მეშინია ამის თქმა...
– ნუ გეშინია, მითხარი.
– მაშინ დამპირდი, რომ მხოლოდ ჩვენ გვეცოდინება და არავინ წაიკითხავს!

– გპირდები, აბიგაილ.
– აქაურობა პარასკევ დღეს ერთ დიდ ბაზრობას ემსგავსება, სასურველი „საქონლის“ შესარჩევად. დახლზე დაწყობილ ფერად-ფერადი კაბებივით გამოგვფენენ, წყვილები კი, მუშტარით ხარბი თვალთ გვათვალისწიებენ. ზოგს ჩითის კაბა მოსწონს, ზოგს შალის, ზოგს სულაც შარვალი ურჩევნია და დაწუნებულ ფერად კაბას უგულოდ დახლზე ტოვებს. მერე ამ ფერად-ფერად კაბებს გამყიდველი ისევ კარადაში ინახავს მომავალ ბაზრობამდე... ყველაზე ცუდი ის არის, რომ კარადაში გამოკეტილი ფერადი კაბები იკუჭებიან, იცრიციებიან და უსინათლოდ ცვდებიან... დიახ, ბატონო **Godless!** არ მსურს, ვინმე, მუშტრის თვალებით მომზირალი „ადამიანი“ ჩემს ფერად, ჩითის კაბას ხელით ეხებოდეს, კუჭავდეს, ცვეთდეს და უკმაყოფილო სახით ისევ დახლზე აგდებდეს. ალბათ, ამ კარადაში განთავსებულ სხვა ფერად-ფერად კაბებს ის ურჩევნიათ, რომ შეიძინოს მუშტარმა, მაგრამ მე არ მინდა, ბატონო **Godless**. მე მხოლოდ ის მსურს, რომ...

– რა გსურს, აბიგაილ მიჩჩელ?
– არაფერი...
– მითხარი, აბიგაილ, მითხარი.
– არ შემიძლია, ბატონო **Godless**.
– რატომ?

– იმიტომ, რომ მე დღეს 5 წლის გავხვდი, დღეს პირველად მქონდა დაბადების დღის ტორტი, პირველად ჩავუთქვი სურვილი, პირველად შევუბერე სანთლებს და ჩავაქრე. ახლა რომ სურვილი გავანდოთ, ვიცო, არასოდეს ამისრულდება. ამიტომ, ნუ დამაძალებთ, ბატონო **Godless**. მომეცით უფლება, მეც ავისრულო სულ ერთი ცალი სურვილი.

– რომ არ ავისრულდეს, აბიგაილ, მაშინ რას იზამ?
– მეც თქვენსავით გავიზრდები, **Godless**. მეც დავკარგავ ჩემს ბავშვურ სიხალისეს. ჩემს ხმასა და სიტყვებს თქვენსავით შეერევა სიმკაცრე და უწინდებურად ვეღარ შევძლებ ვიმოგზაურო ჩემს სანუკვარ ზღაპრულ

სამყაროში, ჩემი ცაც დაკარგავს სილურჯეს და დაუთმობს სილაჟვარდეს ბინდად მონეულ ღამეს... მეც თქვენსავით გამოვიგონებ სხვა აბიგაილს, უღმერთობით შევიმოსები და გავტანჯავ ამ განუკითხავ სამყაროში ერთ ციდა ბედნიერებას, საუკუნოდ ვათარეშებ ჩემივე შექმნილ სამოთხის ბაღში მაცდურ გველთა ჯარს და დავასრულებ ჩემს ერთადერთ საგანძურს, ჩემს ბავშვობას....

მეც თქვენსავით გავიზრდები, **Godless**, მეც თქვენსავით... გავიზრდები!..
– იცი, რომ ამ ყველაფერს ჩემი მკითხველი კითხულობს?
– გრცხვენოდეთ, **Godless!**.. თქვენ მართლაც უღმერთო ბრძანდებით!
– რატომ, აბიგაილ?

– მე თქვენ დამპირდით, რომ ეს მხოლოდ ჩვენ შორის დარჩებოდა, თქვენ კი, როგორც ნამდვილმა ზრდასრულმა, პირობა დაარღვიეთ, მომატყუეთ და ურცხვად მომექეცით. არ მინდა, თქვენსავით გავიზარდო! არა! არ მსურს, მეც მოვატყუო, პირობა გავტეხო ან უბრალოდ, თქვენსავით უღმერთოდ დავრჩე!

– მაპატიე, აბიგაილ, არ მინდოდა შენი წყენინება...
– არც „გაცნობის დღეს“ მოსულ მუშტარს არ უნდა ხოლმე ფერად-ფერადი, დაწუნებული კაბების დახლზე უგულოდ მიყრა, მაგრამ გამოსდით! და იცი, რატომ? ისინიც შენსავით უღმერთო და შენსავით გაზრდილი არიან! თქვენ, დიდებმა სულ ასე იცით, მხოლოდ თქვენი სურვილის ახდენას ღამობთ და არც კი ფიქრობთ, უგულოდ მიყრილ დახლზე უმშვენიერეს ფერად კაბებს როგორ კეტავს გამყიდველი კარადაში, როგორ ხუნდებიან, როგორ კარგავენ ფერს და როგორ ცვდებიან მყიდველის მოლოდინში... თქვენთვის მთავარი ხომ ის არის, რომ თქვენს ზრდასრულ, ჩამოყალიბებულ გემოვნებას სურვილი მოარგოთ და სხვა არაფერი...

– მართალი ხარ, აბიგაილ, პირობა გავტეხე, მოგატყუე, მაგრამ მსურდა, რომ შენ შესახებ ყველასთვის მომეთხრო, მინდოდა აღმეწერა იმ ფერადი კაბების გულისტკივილი, კარადის ბნელ კუთხეში ჩამოკიდებულნი, მყიდველის მოლოდინში რომ უფერულდებიან და ცვდებიან... მაპატიე, აბიგაილ მიჩჩელ...

– ტორტი გინდათ, **Godless?** სულ ცოტას გინაწილებთ, ბევრს არა! იცოდეთ, ეს ჩემი პირველი ტორტია, დაბადების დღეზე მორთმეული და ამიტომ, ბევრს ნუ შემიჭამთ. თან, აქ უამრავი ბავშვია და მინდა, რომ ყველას გავუნაწილო...

– კარგი, მაშინ სულ ერთი ციციქნა.
– **Godless**, შენი მკითხველებიც გაზრდილი არიან?
– არ ვიცი, აბიგაილ, იმედი მაქვს, რომ მათ ხმას და სიტყვას ისევ შერჩა ბავშვური სიხალისე. ღამით, საწოლში თავზე საბანგადაფარებულნი, ისევ ისე ოცნებობენ, მოგზაურობენ ზღაპრულ სამყაროში და მათ ცას ისევ სილურჯე შვენის.

– იმედია, **Godless**... იმედია.
– ახლა დროა, დაგტოვო. გილოცავ დაბადების დღეს, აბიგაილ მიჩჩელ! არასოდეს გაიზარდო ჩემსავით უღმერთოდ დიდი!
– მშვიდობით, **Godless!**

ლონდონის მზე პარასკევი დილის დადგომას უწყოდა კენსიგტონის ქუჩაზე.

კვლავ საგანგებოდ ამზადდნენ დახლიდარები ფერად-ფერად ჩითის კაბებს მუშტართა საამებლად, უწინდებურად მიიჩქაროდა მუშტარი სასურველი კაბის ასარჩევად. ზოგი ორ პენად ფასობდა, ზოგიც ხუთად, მაგრამ იყვნენ ისეთი ნაქარგი ფერადი კაბებიც, რომელნიც შეუფასებლად ინახებოდნენ კარადის ბნელ კუთხეში და მთელ ბაზრობას ფარავდა მათი მშვენიერება და, რომელნიც რჩებოდნენ მუდამ დაწუნებულნი, მუდამ გაუყიდავნი, მაგრამ დიდებულად ნაქარგნი, უთვალავი ფერებით.

ერთი ლექსი

რა დროს ლექსია?!

„რა დროს ლექსია“! დაგმანულა სარკე სულისა, ვერ ყვავილობენ იისფერი, ბაღში, ვარდები, როს გაზაფხული შემოდგომად გადაქცეულა, – დედამინაზე დაშვებულან ღრუბლის ფარდები... „რა დროს ლექსია“... ვარსკვლავები სწყდებიან ზეცას, ღამე გამხდარა უვარსკვლავო, მრუმე, უკუნი... მზე ვეღარ მზებობს... სხივებს აფენს მინას დამრეცად, ჯანლი ბობოქრობს – შავი ჭირი ამ საუკუნის! რა დროს ლექსია?! დაიქუხონ უნდა ლექსებმა, გაფანტონ ჯანლი, დედამინა გახდეს მზიანი, აახმიანონ გაზაფხული კვლავაც მერცხლებმა, სულის სარკმელი გაუნათდეთ ადამიანებს!..

მაკო მაჭარაშვილი